პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
ხუთშაბათი
12
მაისი
№ 111
(16851)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ერთი ხელით შეკავშირებული

მამათა უკვდავი მაგალითი

ასამოცი წლის წინათ რუსეთის გმირი მუშათა კლასი ბოლშევიკური პარტიის, დიდი ლენინის წინამძღოლობით აღდგა ყოველივე დრომოჭმულის წინააღმდეგ და ნანგრევებად აქცია იგი. სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა მშრომელთა ბრძოლა ექსპლოატაციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

უამთა სვლა, დროთა რბოლა კიდევ უფრო მეტად შეამკობს და წარმოაჩენს შენს გმირობას, ვაჟკაცობას, ხალხისათვის თავდადებას, რევოლუციის, კომუნისტური პარტიის ჯარისკაცო, ახლა ვეტერან რომ გიწოდებენ და სიყვარულით რომ წარმოთქვამენ შენს სახელს.

სიყვარული ხამშობლოსადმი და სიძულვილი მისი მტრებისადმი, ეს რა განმტკიცებდა რევოლუციის ბარიკადებზე მებრძოლთა სულისკვეთებას, რევოლუციონერთა რწმენას, უწმინდესი იდეალებისადმი ერთგულებას. როცა ოვალს ვაკლებთ პარტიის ვეტერანების — ჩვენი მამებისა და პაპების მიერ განვლილ გზას, რევოლუციის ამ შედგარ ჯარისკაცთა ბრძოლისა და შრომის ისტორიის შთამბეჭდავ ფურცლებს, ნათლად ვხედავთ იმათი მამაცობისა და ვაჟკაცობის შესანიშნავ მაგალითებს, ვინც იარაღით ხელში გაიარა რევოლუციის ქარცეცხლი, ვინც ჩაქუჩითა და ნამგლით პირველი ხუთწლედის ნაგებობებზე იღვწოდა და ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ვინც სამოქალაქო, სამამულო ომის ფრონტებზე და ზურგში გამარჯვების დღეს აახლოებდა.

დიახ, რევოლუციის, სამოქალაქო, სამამულო ომის, მშვიდობიანი აღმშენებლობითი წლების მეცხრე სიმძიმე ყველაზე უფრო პარტიის ვეტერანთა მხრებმა იგრძნეს და განიცადეს. ისინი იყვნენ მეწინავენი ბრძოლების წინა ხაზზე, სოციალისტური მშენებლობის პირველი ბარის დამკვიდრენი და მშვიდობიანი აღმშენებლობის მეთაურნი. სწორედ ყოველივე ამით, ბრძოლით, შრომით, საერთო საქმისადმი ერთგულებით გამოხატეს პარტიის ვეტერანებმა უსაზღვრო ერთგულება მშობლიური ხალხისადმი, დიადი და სამართლიანი კომუნისტური იდეალებისადმი. მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად მოპოვებული გამარჯვება ომებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში ნიშნავდა ყოველივე ამის გამარჯვებას, რაც უსაზღვროდ ძვირფასია და წმინდა საბჭოთა პატრიოტისათვის, კომუნისტი ვეტერანისათვის. ამიტომ არის, რომ ასე დაფასებულია ჩვენში პარტიის ვეტერანის შრომა და ღვაწლი.

კომუნისტური პარტიის ვეტერანთა საგმირო საქმეები ესტაფეტა ხელ უფრო მაღლა უჭირავს ჩვენს ახალ თაობას, იგი მკაფიოდ ვლინდება კომუნისტების, კომკავშირელების, საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ შრომითს

მიღწევებში, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების ხორცშესხმისათვის ებრძოლეთ.

კომუნისტური აღმშენებლობის დღეების ჭერო

მართვის სკოლა, მეუურნეობრიობის სკოლა, კომუნიზმის სკოლა

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხიტყვა პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ახალ პერსპექტივას ხსნის, პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს, ახალ ეტაპს განსაზღვრავს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში — აღნიშნეს 6 მაისს გამართულ საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმზე მომხსენებელმა და გამოსულმა ორატორებმა.

მისი ამოცანაა შეიმუშაოს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის კონკრეტული, კომპლექსური პროგრამა სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

ცნობილია, თუ რა უდიდეს ადგილს უთმობდა ვ. ი. ლენინი პროფკავშირებს. მან ღრმა მეცნიერულ საფუძველზე განსაზღვრა მათი სახე და ადგილი სოციალისტურ საზოგადოებაში.

პარტია მუდამ მიეძღვნება პროფკავშირებს ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ზრდის მათ როლსა და მნიშვნელობას ახალი საზოგადოების შენებლობაში. ეს ბაზი დღესაც გრძელდება. პროფკავშირები დღესაც ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში არიან. ამ ლენინურ ხაზს მკაფიოდ გამოხატავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი, სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა.

პროფკავშირთა XVI ყრილობამ განამტკიცა საბჭოთა პროფკავშირების გრანდიოზული მონაპოვრები და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ლენინის მიერ ნაჩვენები გზა იყო და კვლავ იქნება ერთადერთი სწორი, ერთადერთი ნაკადი გზა.

პროფკავშირთა XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა არის სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაში პროფესიული კავშირების ადგილისა და როლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეძღვრების შემუშავებითი განვითარების შესანიშნავი ნიმუში. პარტია გვასწავლის, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში პროფკავშირები რჩებიან წარმოების, სახელმწიფოს, საზოგადოების მართვის მეცნიერების შეცნობის მასობრივ სკოლად, სოციალისტური მეურნეობრიობის სკოლად, კომუნისტური შრომის, ახალი ადამიანის აღზრდის სკოლად, ინტერნაციონალური სოლიდარობის სკოლად, სხვანაირად რომ ვთქვათ, კომუნიზმის სკოლად.

ასეთი სკოლაა აგრეთვე საქართველოს პროფკავშირებიც, რომლებიც შესამჩნევად აძლიერებენ თავიანთ როლს როგორც რესპუბლიკის მშრომელთა ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლს, სულ უფრო მეტად უწყობენ ხელს ფართო მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის განმტკიცებას. დღეს შეუძლებელია არ აღინიშნოს ის შესამჩნევი როლი, რომელსაც საქართველოს პროფკავშირები ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ პოზიტიური ტენდენციების დასამკვიდრებლად, რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღებული ჩვენი რესპუბლიკისათვის სამი ისტორიული დადგენილების განხორციელების პერიოდში.

მომხსენებელმა და გამოსულმა ორატორებმა ღირსეული შეფასება მისცეს პროფკავშირთა მასობრივ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში, შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებაში, წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმაში, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში, ულაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებების, მშრომელთა ფართო ფენების შრომისა და სხვა სოციალური უფლებებისა და ინტერესების დაცვაში. პერსპექტიული და ძალიან სასარგებლო პროფკავშირთა მონაწილეობა საწარმოო კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

არაფერი არ რჩება ჩვენი პროფკავშირების ყურადღების გარეშე: ეს არის ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, ტექნიკური შემოქმედების სადგურების, კლუბებისა და კულტურის სასახლეების, ჯანმრთელობის კერებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობის დაჩქარება, ეს არის პროფკავშირთა მრავალფეროვანი მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებასთან, გამომუნებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მძიერაობის, მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებასთან, დასვენების მოწყობასა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასთან, მასობრივი ფიზკულტურული მძიერაობის განვითარებაში მათს მონაწილეობასთან.

მაგრამ გაწეული მუშაობა სრულიადაც არ არის საკმარისი. მთელ ჩვენს საქმიანობას უნდა მივიდგეთ სულ უფრო მზარდი მოთხოვნების მაღალი საზომით, ახალი, უფრო პასუხსაგები ამოცანების პოზიციებიდან. აი რატომ არის აუცილებელი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილების, პროფკავშირთა ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების გათვალისწინებით მივიღწიოთ მთელი ჩვენი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის უფრო მეტ სრულყოფას, მისი დონის ამაღლებას. აი რატომ მიიჩნია საქართველოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოხსენება გაეკეთებინა რესპუბლიკის პროფსაბჭოს პლენუმზე.

ჩაგვაბათ მასმები წარმოების მართვაში

განსაკუთრებით თვალნათლივ ვლინდება პროფკავშირთა როლი და ზემოქმედება საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობაზე, მშრომელი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში.

თანამედროვე ეტაპზე სოციალისტურ შეჯიბრებას ენიჭება თვისებრივად ახალი ნიშნები და თავისებურებანი. დღეს შეჯიბრება სულ უფრო მეტად ეხება ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემებს, განუყოფელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისაგან, მიზნად ისახავს საუკეთესო საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევას. შეჯიბრება ეხება ეკონომიკის ძირეულ, სიღრმულ პროცესებს, წყვეტს გრძელვადიან, პერსპექტიულ ამოცანებს, მთავარ ყურადღებას მიაპყრობს არა მარტო გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღწევას, არამედ სერიოზული ხარისხობრივი გარდაქმნების უზრუნველყოფას, რომლებიც წარმოების ახალ მაღალ საფეხურზე აყენებენ.

პლენუმზე გამოიყო შეჯიბრების ორგანიზაციისადმი ოთხი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

ეს არის კონკრეტულობა, როცა შეჯიბრების თვითეულ მონაწილეს მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი შეჯიბრებაში თავისი მონაწილეობის არა მარტო საერთო ამოცანები, არამედ თავისი ყოველდღიური მიღწევები ამ შეჯიბრებაში, აქვს შესაძლებლობა ზუსტად შეადასოს თავისი წვლილი მთელი კოლექტივის მიღწევებში. შეადაროს თავი სხვა კოლეგებს, გაეკვეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზებსა და მეთოდებში;

— შეჯიბრების ორგანიზაციისადმი უფრო კომპეტენტური მიდგომა, ვიდრე წინა ეტაპზე. არ უნდა გაგვიტაცოს შეჯიბრების ფორმებისა და სახეობების რაოდენობამ, არამედ უნდა ვეძებოთ ჩამოყალიბებაზე, რომ საწარმოში, დარგში გამოყენებულ იქნეს შეჯიბრების ყველა ცნობილი ფორმა. უნდა შეეგარჩიოთ მხოლოდ ისეთები, რომლებიც ადგილობრივ პირობებში მიტ ეფექტს მოგვცემენ, ოპტიმალური იქნება გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის. ეს მოითხოვს სერიოზულ გაანგარიშებას, საქმის კარგად ცოდნას, პერსპექტივის დანახვის უნარს, მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას;

— შეჯიბრების შედეგების ღრმა, ყოველმხრივი, თვალსაჩინო ანალიზი, ყველა მისი მონაწილის წვლილის ზუსტი, ობიექტური შეფასება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯერ-ერთნად იქნეს დაყენებული მოწინავეების, შეჯიბრების გამარჯვებულების წახალისების საქმეც, სტიმული მიეცეს მათ ბეჯით, თავდადებულ შრომას.

— შეჯიბრებაში თვითეული მშრომელის აქტიური და მიზანმიმართული ჩაბმა, მხოლოდ ამ შემთხვევაში მას შეუძლია მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი. ამოცანა ის არის, რომ ახლოს გავიცნოთ თვითეული მშრომელი, გავუდვიეოთ მას შემოქმედებითი აზრი, ინიციატივა, საზოგადოების სამსახურში ჩავაყენოთ მთელი მისი ნიჭი. ყოველივე ეს პროფკავშირული ორგანიზაციების ყველაზე რთული და საპატიო ამოცანაა.

კარგად უნდა ეიცნობდეთ ადამიანს, მის ინტერესებს, მისი ხასიათის თავისებურებებს, მუდამ გვქონდეს ურთიერთობა მასთან, უნარიანად გაუღვიეოთ საუკეთესო საქმიანი, პროფესიული და ზნეობრივი თვისებები, განსაკუთრებით კოლექტივიზმის მაღალი გრძნობა, მისწრაფება თავისი თავი, თავისი უნარი ჩაყენოს საზოგადოების სამსახურში. უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, როცა თვითეულს სასარგებლო წამოწყებებს მთლიანად მხარს დაუჭერენ როგორც საბჭოთა და სამეურნეო ორგანები, ისე პროფკავშირული ორგანიზაციები.

ცნობილია, თუ რა ლიდ ეფექტს იძლევა თვითეულ სამუშაო ადგილას არსებული რეზერვების გამოყენება, ჩამორჩენილთა და საშუალოთა წამოწევა მოწინავეთა დონემდე.

მაგალითად, მსობუქი მრეწველობის სისტემაში, თვითეული მსმელი საშუალოდ 7,8 დაზგას ემსახურება. ეს მაჩვენებელი რომ 8,8 დაზგამდე გავადიდოთ, მაშინ მქსოველთა შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 9,4 პროცენტით. ეს სავსებით რეალური ამოცანაა. ყველა მქსოველს მესამედი — ჩვენი მოწინავენი ხომ უკვე ახლა ემსაპყრობიან საშუალოდ 11 დაზგას. დანარჩენებიც რომ ამ მიჯნას მიაღწევდნენ, შრომის ნაყოფიერება თითქმის 30 პროცენტით გაიზრდებოდა.

ხოლო ტყავის ფეხსაცმლის დარგის ყველა მუშაკი რომ ისე შრომობდეს, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვ. რიმინსთაველი, რომელიც თითქმის ორჯერ აკმაყოფილებს საგეგმო დავალებებს, წელიწადში ზოგავს 3 ათასი მანეთის ნედლეულსა და მასალებს, ეს დარგს უზარმაზარ ეფექტს მისცემდა. მისი გამოცდილების საყოველთაო გავრცელებაც საკმაოდ რეალური ამოცანაა.

თვითეულ საწარმოში, სახალხო მეურნეობის თვითეულ დარგში შეიძლება ამგვარი მაგალითებისა და გაანგარიშების დასახელება.

მაგალითების მოყვანა, რეზერვების მითითება ადვილია, ბაზგასმით აღინიშნა პლენუმზე. გაცილებით უფრო რთულია მათი ჩაყენება საქმის სამსახურში, საჭირო უკუგების მიღება. ეს რთული, მაგრამ მეტად საჭირო, რადგან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგები ვერ დაიკვეხნიან, რომ საგეგმო დავალებებს ასრულებენ ოპტიმალური, ეფექტიანი ხერხებით, რომ სწორად იყენებენ არსებულ რეზერვებს.

ცალკეულ მოწინავეთა მიერ მიღწეული შრომის ნაყოფიერების დონე გახადონ შრომითი კოლექტივების ათეულ და ასეულ ათასობით წევრის კუთვნილება — სწორედ ეს ამოცანა უნდა დასისახონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და პრაქტიკულად გადაწყვიტონ იგი წარმოების თვითეულ უბანზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1976 წლის დამლევს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში მოწყობილმა შემოწმებამ ცადყო, რომ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებს იგი უზრუნველყოფდა არა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, არამედ მომუშაეთა რიცხვის მომატებით. ამავე დროს სამეშაო დროის მხოლოდ გათვალისწინებული დანაკარგები მოწყობილობის მთელი დღის მოცდენის, ადმინისტრაციის ნებართვით გამოუცხადებლობისა და გაცდენების გამო საშუალოდ ერთ მუშაზე რამდენიმე დღეს შეადგენდა.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა კარგად იცან: რაც უფრო მეტი აქვთ მუშახელის ფარული რეზერვები, მით უფრო იოლად შეასრულებენ გეგმას მოცულობითი მაჩვენებლების მიკიდეთ და სხვადასხვა დამატებითს დავალებას. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ბევრ საწარმოში და მთელ დარგებში მუშაკთა სიჭარბე ზოგჯერ 8-10 პროცენტს აღწევს.

სამწუხაროდ, დღემდე არც პროფკავშირულ ორგანიზაციებს, არც სახელმწიფო და პარტიულ ორგანოებს კონკრეტულად არ გაუანალიზებიათ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა სხვადასხვა პროფესიის, სპეციალობის მუშაკთა გამოთავისუფლებაზე, არ ეწევიან სახალხო მეურნეობის ნამდვილი მოთხოვნების გათვალისწინებით მათს განაწილებას.

საწარმოთა პროფკავშირული კომიტეტები, პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტები შრომის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებთან ერთად ღრმად უნდა იცნობდნენ შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, წარმოებისა და თვითეული სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციის საკითხებს.

ყოველივე ეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მხარეები და საკითხებია, რომლებიც პროფკავშირთა მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ ამ საქმეში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური გაანგარიშებების მეთოდები. აქ ზოგადი სიტყვები არ გამოდგება. აქ საჭიროა ციფრების ენა. დროა უფრო გაბედულად ავითვისოთ ეს ენა და პროფკავშირულ მუშაობაშიც ვიხმაროთ იგი.

მეორე მხრივ, ციფრების მიღმა უნდა შეეძლოთ დაინახოთ რეალური საქმეები, რეალური ადამიანები, ნამდვილი მდგომარეობა ადგილებზე, არ გაგხდეთ ციფრების ტყვე, გისწავლოთ ანგარიში, ცხოვრების ნამდვილი მოვლენების შეფასება და ამ საფუძველზე ვუხელმძღვანელოთ გეთარებას, დაგინახოთ პერსპექტივა.

ყოველივე ეს განსაკუთრებით რელეფურად უნდა გამოვლინდეს შემხვედრი გეგმების შემუშავებაში, რაც წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენების საფუძველზე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ყველაზე პროგრესული მეთოდია. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს შემხვედრი გეგმებისათვის ახლანდელი მოძრაობა შევადაროთ პირველი ხუთწლედების სტახანოვურ მოძრაობას. იქაც და აქაც, ახლა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მაღალ დონეზე, ვლინდება მისწრაფება უკეთ მოვაწყოთ შრომა, დავხვეწოთ ტექნოლოგიური პროცესები, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდა, დღენიადაგ და შემოქმედებითად ვეძებოთ და წარმოებაში დავნერგოთ ყოველივე ახალი, მოწინავე, პროგრესული.

მაგრამ, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების თანახმად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე არცთუ ისე სანუგეშო მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, თუ 1975 წელს შემხვედრი გეგმები მიღო სამრეწველო საწარმოთა 60,3 პროცენტმა, რომლებმაც ეალდებულება იკისრეს დამატებით გამოუშვან 115,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1976 წელს ამ ციფრებმა შესაბამისად 43,4 პროცენტი და 56 მილიონი მანეთი შეადგინა, ანუ ნახევარზეც ნაკლებია. მიმდინარე წელს კი — 38,9 პროცენტი და 20,3 მილიონი მანეთი. აშკარაა შემხვედრი გეგმების მიმღები საწარმოების როგორც რიცხვის, ისე განსაკუთრებით ამ გზით დამატებითი, მეტად საჭირო პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირების ტენდენცია. ამის მიზეზია რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანოების მხრივ ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი მომთხოვნელობის, კონტროლისა და ყურადღების შესუსტება.

არ შეიძლება მიზანშეწონილად მივიჩნიოთ, რომ ჩვენში შემხვედრ გეგმებს იღებენ მხოლოდ მრეწველობაში, მაშინ როცა ამ მოძრაობამ უნდა მოიცვას სხვა დარგებიც, მათ შორის სოფლის მეურნეობაც. ეს სერიოზულ საბრალად უნდა მივიჩნიოთ. არ არის დანერგილი მთლიანად ხუთწლედისათვის შემხვედრი გეგმების შემუშავება. რაც უკვე ქვეყნის მოწინავე საწარმოებში ხორციელდება.

შემხვედრ გეგმებთან დაკავშირებით საქმის ასეთი მდგომარეობა მოწმობს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას და შესაბამის იდგილობრივ კომისიებს, მაშასადამე, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებსაც არ შეუსწავლიათ ეს საკითხები საკმაოდ კონკრეტულად და პრინციპულად, რაოდენ მნიშვნელოვანი მხედველობიდან გამორჩათ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანოების ინიციატივის გავრცელებაში.

სასიხარულოა, რომ თვითონ ინიციატორები უკვე სამი თვეა ისე მუშაობენ, რომ ჩამორჩენილი საწარმოები არა ჰყავთ, რომ ქალაქ თბილისის მშრომელები საპირველმაისო დემონსტრაციაზე ისე გამოვიდნენ, რომ არცერთი ჩამორჩენილი საწარმო არ ჰყოლოთ. ეს კომუნისტთა დიდი გამარჯვებაა, პროფკავშირთა დიდი გამარჯვებაა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ინიციატივა თითქმის მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა. პლენუმზე გამოითქვა რწმენა, რომ აღებულ ტემპს ყოველთვიურად გაზრდიან, და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ისე შეეხვედრებით, რომ რესპუბლიკაში არცერთი ჩამორჩენილი კოლექტივი არ იქნება.

ძირითადი კრიტერიუმებია ხარისხი და ეფექტიანობა

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას უკავშირდება მეორე დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაც — პროდუქციის ხარისხის, ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. სოციალისტური შეჯიბრება მაღალი ხარისხისა და ეფექტიანობისათვის პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩენას, წლების მანძილზე რომ იყო რესპუბლიკაში.

ახლა ჩვენ გარკვეულ დადებითს ვერას მივაღწიეთ ამ დარგში. მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ჩვენი მრეწველობა უშვებდა ხარისხის სახელმწიფონიშნიან 400 დასახელების ნაწარმს, გასული წლის შესაბამისი პერიოდის 247-თან შედარებით.

გაფართოდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების გეოგრაფიაც. თუ 1975 წელს ასეთ პროდუქციას 14 სამინისტროს 78 საწარმო უშვებდა, ერთი წლის შემდეგ მას უკვე 17 სამინისტროს 124 საწარმო უშვებდა. 1976 წელს წინა წელთან შედარებით ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობა 70 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში უკვე ბევრია საწარმო, რომლებიც ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობით საფეხურთა საკავშირო მაჩვენებლებს არ ჩამოუვარდებიან. ეს არის თბილისის კონიაკის კომბინატი და შამპანური ღვინოების კომბინატი, ქარხნები „მიკროძრავა“, „ელექტროზოლითი“, კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანა, გრეხილი ავეჯის კომბინატი, გაერთიანება „საქპოლიმერტარა“, ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ელექტრომექანიკური, სატრანსფორმატორო და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, ზუგდიდის ყველ-კარაქის მეთაური ქარხანა, ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხანა და ბევრი სხვა.

მაგრამ მიღწეული წარმატებები, აღინიშნა პლენუმზე, მეტად უმნიშვნელია. ჩვენი რესპუბლიკა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წონით ორჯერ და მეტად ჩამორჩება საშუალოსაკავშირო მაჩვენებელს და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-11 ადგილზეა. ჯერ კიდევ ბევრია საწარმო, რომლებიც პროდუქციის ხარისხის გაუუმჯობესების ნაცვლად, იდრე მოპოვებულ პოზიციებს თმობენ, ხარისხის ნიშნს კარგავენ. მაგალითად, 1976 წელს 25 საწარმოს 80 ნაწარმმა დაკარგა სპატაო ხუთ-კუთხედის ტარების უფლება იმის გამო, რომ გავიდა ხარისხის ნიშნის მოქმედების ვადა, დროულად არ ჩაუტარებიათ მორიგი ატესტაცია ან არ დაუცავთ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების პირობები.

მრეწველობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებაში რესპუბლიკის ჩამორჩენა ბევრად აიხსნება იმით, რომ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების უმრავლესობა ცუდად იყენებს ატესტაციის შესაძლებლობებს პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესებისათვის, ჯეროვანი სერიოზულობით არ ეკიდება ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები არ კისრულობენ პასუხისმგებლობას პროდუქცია წარადგინონ ხარისხის ნიშანზე და სჯერდებიან მხოლოდ ხარისხის პირველ კატეგორიას.

პლენუმზე თქვა, რომ სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ 1976 წელს ხარისხი ჩამოაკლო, დაიწუნა და გამოსასწორებლად დაუბრუნა შემოწმებული პროდუქციის 28 პროცენტი. ამავე ინსპექციამ იმ მიზნით, რომ სავაჭრო ქსელში არ მოხვედრილიყო და მოსახლეობისთვის არ მიეყიდათ ცუდი ხარისხის საქონელი, სავაჭრო ორგანიზაციებს აუკრძალა რესპუბლიკის 62 სამრეწველო საწარმოს 111 დასახელების პროდუქციის მიღება, 20 საწარმოში კი დაიწუნა. განსაკუთრებული რეიმი 25 დასახელების საქონლის მიღებისათვის, რომლის დროს მოწმდება პროდუქციის ასევე პროცენტის ხარისხი. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის შეუპოვრად და მტკიცედ უნდა იმუშაოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — ხარისხის საკითხი ხომ თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი საკითხი, ჩვენი პრესტიჟის საქმეა. და ვისაც კი ამასთან რაიმე კავშირი აქვს, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს დასახული ამოცანის გადაწყვეტაში.

ყველაფერი უნდა გიღონოთ ხარისხის მართვის გაუმჯობესებისათვის, წარმოებული პროდუქციის ხარისხიანობისა და საიმედოობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის. გამოითქვა რწმენა, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაებმებიან ლაშქრობაში მაღალი ხარისხისათვის, მიაღწევენ, რომ ყველა შრომითს კოლექტივში მტკიცედ მოიკიდოს ფეხი, ისე ვთქვათ, ხარისხის სულისკვეთებამ, ხარისხის კლიმატმა, ხარისხის ატმოსფერომ. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ინსპექტირებენ იმით, რომ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შემადგენელი ელემენტია.

მაგრამ ამისათვის მარტო აღმზრდელობითი მუშაობა ამკარად საკმარისი არ არის. საჭიროა კიდევ მუშაობის მაღალი ხარისხისათვის მატერიალური და მორალური სტიმულირების შესაბამისი ეფექტიანი სისტემა. ვერ დავეთანხმებით იმას, რომ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხვა ხოლმე ისინი, ვინც ძირითადად ორიენტაციას იღებს რიოდენობრივ მაჩვენებლებზე პროდუქციის ხარისხის, წარმოების მაღალი ეფექტიანობის საზიანოდ. უფრო უკეთ და ღრმად უნდა გავეცნოთ ქვეყანასა და რესპუბლიკაში შეძენილ ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლის სტიმულირების დადებით გამოცდილებას, უფრო გაბედულად დავნერგოთ იგი ყველა საწარმოში.

კარგი შედეგები მოაქვს ხარისხის მართვის სისტემის გამოყენებას. პლენუმზე აღინიშნა გამოცდილება ბეჭრი ადგილის ძალიერ სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის ინსტიტუტისა, რომელიც ამუშავებს საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას და ამასთან უშვებს პროდუქციას საცდელ ქარხანაში. ხარისხის შეფასებისადმი, ხარისხის მართვის მწყობრი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემისადმი დაკვირვებული მდგომის მეოხებით ინსტიტუტმა შეძლო კარგი შედეგების მოპოვება. ინსტიტუტის მუშაკები პირველი წარდგენით აბარებენ მთელი ტექნიკური დოკუმენტაციის 95 პროცენტსა და სამრეწველო პროდუქციის 93 პროცენტს.

რესპუბლიკაში შეძენილი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის მთელი გამოცდილება, როგორც ჩანს, აისახება მომავალ რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანებს.

ამ კონფერენციისათვის მზადება წარმოებს სსრ კავშირის სახსტანდარტის აქტიური დახმარებით. მისი ჩატარება, რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავებული იქნება, გახდება შემობრუნების ეტაპი, მძლავრი პრაქტიკული დასაყრდენი ხარისხისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად — მეათე ხუთწლედის ბოლოს მიეაღწიოთ, რომ რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მეხუთედი, იქნებ მეოთხედიც ხარისხის ნიშნით გამოდიოდეს.

სოციალისტური შეჯიბრების მოელი საქმის წარმატება, საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის სრულყოფის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების ბარდა, ბევრად არის დამოკიდებული მუშაკთა კვალიფიკაციაზე, მათ ოსტატობაზე, მათი ცოდნის დონეზე.

ამიტომ პროფკავშირებმა უწინარეს ყოვლისა ხელი უნდა მოჰკიდონ მუშაკთა კლასის ცვლის მომზადებას, უფრო მეტად იზრუნონ მისი პროფესიული ოსტატობის ზრდისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, გაითვალისწინონ, რომ პროფესიული დონე, საბოლოო ანგარიშით, ბევრად განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერების მდგომარეობას. აი რატომ უნდა იდგეს პროფესიული მომზადების საკითხები ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

მუშაკთა კადრების სამეცნიერო-პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლები, რომლებმაც გასულ წელს მოამზადეს დაახლოებით ათიათასობით სპეციალისტი.

მაგრამ პროფკავშირებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ, რათა ზემოქმედება მოახდინონ მუშაკთა კადრების მომზადების პროცესსა და დონეზე სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მათი მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით, საწარმოო სწავლების ოსტატებით დაკომპლექტების გზით და სხვ. განსაკუთრებით დიდია პროფკავშირების როლი საწარმოებში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებისა და სხვა ახალგაზრდა მუშების შენარჩუნებაში, მათთვის შრომის, ყოფაცხოვრების, პროფესიული ზრდის შესაბამისი პირობების შექმნაში. ამ საქმეში ჯერჯერობით პროფკავშირული ორგანიზაციები ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიან. ისეთ საწარმოებზეც კი, როგორიცაა კიროვის სახელობის ქარხანა, ფაბრიკა „ისანი“ და სხვები, რომლებსაც საკუთარი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები აქვთ, საშუშაოდ კურსდამთავრებულთა მხოლოდ მესამედი რჩება.

ეს მეტად სერიოზული სოციალური პრობლემაა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია კადრების დენადობის მთელ პრობლემასთან. ამასთან სამუშაოდან წასულ მუშათა მეტ ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს. და ეს განსაკუთრებით დამაფიქრებელია.

ეკონომიკურის გარდა, კადრების დენადობა მორალურ-პოლიტიკურ ზიანს აყენებს კოლექტივს, საზოგადოებას. თუ ადამიანი ვერ ეგუება კოლექტივს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, მასში მწიფდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, თავს იჩენს გაუცხოება, ინდივიდუალიზმის ნიშნები და სხვ. ბოლოს და ბოლოს ასეთი ადამიანი ადვილად სწყდება კოლექტივს, კარგავს კავშირს ორგანიზაციასთან, თავის ინტერესებს უპირისპირებს კოლექტივის, საზოგადოების ინტერესებს. ზოგიერთი ფენრნა კი იქამდეც მიდის, რომ ამორალურად, უზნეოდ იქცევა, ზოგჯერ კი დანაშაულსაც სჩადის.

ამიტომ ჩვენი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ შექმნან სტაბილური შრომითი კოლექტივები. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კარგად დაყენებულ დამრიგებლობას. გამოცდილება მოწმობს, რომ კადრის მუშაობ ილენენ შესანიშნავ, ხშირად ბრწყინვალე პედაგოგიურ ნიჭს, შეუძლიათ ახალგაზრდა ჩაბან კოლექტივის ცხოვრებაში, ამოაცნობინონ პროფესიის „საიდუმლოებანი“, თანდათანობით ჩამოუყალიბონ ის განსაკუთრებული აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, რომელსაც მუშათა კლასის პოზიცია ეწოდება. და ამ საქმეში შესანიშნავ შედეგებსაც აღწევენ.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა იზრუნონ, რომ დამრიგებელთა მოძრაობა ფართო კოლექტივები. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კარგად დაყენებულ დამრიგებლობას. გამოცდილება მოწმობს, რომ კადრის მუშაობ ილენენ შესანიშნავ, ხშირად ბრწყინვალე პედაგოგიურ ნიჭს, შეუძლიათ ახალგაზრდა ჩაბან კოლექტივის ცხოვრებაში, ამოაცნობინონ პროფესიის „საიდუმლოებანი“, თანდათ

მართვის სკოლა, მეუნარეობრიობის სკოლა, კომუნიზმის სკოლა

(დასასრული)

...გაერთიანების სამეურნეო ხელ-
...ძღვანელებმა, პროფკავშირულმა
...კომიტეტმა არ დაიშურეს ძალ-
...ონნე, რათა კოლექტიური ხელ-
...შეკრულება
...შესრულებულიყო.
...შემოწმებამ ცხადყო, რომ ხელ-
...შეკრულების 186 პუნქტიდან
...მთლიანად შესრულებულია 151
...პუნქტი, ნაწილობრივ — 24, არ
...შესრულებული — 11 პუნქტი.
...ეს მოლიანად ცუდი მაჩვენებელი
...არ არის, მაგრამ არც იდეალუ-
...რია.

ამასთანავე, როგორც სამრეწ-
...ველო საწარმოებში, საბჭოთა
...მეურნეობებსა და სამეცნიერო-
...კვლევითს დაწესებულებებში
...დადებული 20 კოლექტიური ხე-
...ლშეკრულების შერჩევითმა შე-
...მოწმებამ ცხადყო, მათში არ არ-
...ს უმნიშვნელოვანესი კომპო-
...ნენტები, რომლებმაც ხელი უნ-
...და შეუწყონ შრომელთა მონაწ-
...ილეობის გაფართოებას წარმო-
...ების მართვაში, რეზერვების ძი-
...ებას, წარმოების ეფექტიანობის
...ამაღლებას, შრომის ნაყოფიერე-
...ბის გადიდებას, პროდუქციის
...ხარისხის გაუმჯობესებასა და
...სხვ. ამოცანა კი ის არის, რომ
...თითოეული პროფკავშირული
...ორგანო იჩენდეს მეტ ინიციატი-
...ვას, მებრძოლურობას, სიმტკი-
...ცესა და მომთხოვნელობას, მეტ
...დაკვირვებასა და პასუხისმგებ-
...ლობას კოლექტიურ ხელშეკრუ-
...ლებათა შედგენასა და შესრულე-
...ბაში.

წარმოებაში დემოკრატიის,
...მასების საზოგადოებრივი კონ-
...ტროლის განვითარების, მართ-
...ვაში მათი ჩაბმის მეორე დიდმ-
...ნიშვნელოვანი ფორმაა მუდმივ-
...მოქმედი საწარმოო თათბირები.
...ახლა რესპუბლიკაში მუშობს
...2.200-ზე მეტი მუდმივმოქმედი
...საწარმოო თათბირი, რომლებიც
...ერთიანებენ 100 ათასზე მეტ
...შრომელს, მათ შორის 68 ათას
...მუშას. მთელ რიგ საწარმოებში
...მათი მუშაობა კარგად არის და-
...ყენებული, მაგრამ ამ საქმეში
...ბევრი ნაკლიც არის, საჭიროა პა-
...რტიული, პროფკავშირული ორ-
...განიზაციების ადმინისტრაციის
...ერთობლივი მეცადინეობა, რა-
...თა დავძლიოთ ფორმალიზმის
...ჯერ კიდევ არსებული ყველა
...ბარიერი. ამ საქმეში ადგილებზე
...დიდი დახმარება უნდა გაგვიწიონ
...პარტიის საქალაქო და რაიონულ-
...მა კომიტეტებმა, პროფკავშირ-
...თა დარგობრივმა კომიტეტებმა.

პროფკავშირის თითოეული
...კომიტეტის ვალია იბრძოლოს
...მუდმივმოქმედი საწარმოო თათ-
...ბირების მუშაობის ეფექტიანო-
...ბის ამაღლებისათვის.

კოლექტიური ხელშეკრულება-
...ნი და მუდმივმოქმედი საწარ-
...მოო თათბირები წარმოების მა-
...თრთველი მშრომელთა ჩაბმის დი-
...დმნიშვნელოვანი, ნაცადი ფორ-
...მებია. ისინი მართვის ერთიანი
...სისტემის უმნიშვნელოვანესი
...ორგოლებია, რომელშიც საუკეთ-
...სოდ არის შეხამებული ერთმ-
...მართველობა და დემოკრატიზმი,
...ცენტრალიზებული ხელმძღვანე-
...ლობა და ადგილობრივი ინიცია-
...ტივა, სახელმწიფო, კოლექტიუ-
...რი და მშრომელთა პირადი ინ-
...ტერესები. ყოველივე ამით
...ბორცს ისხამს დემოკრატიზმი
...ცხოვრებთან, დემოკრატიზმი საქ-
...მეთ, რეალური დემოკრატიზმი.

მშრომელთა დეპუტატების სა-
...ბჭოებს დეპუტატთა კომისიების
...საშუალებით მართვის ყველა
...ფონზე კონტროლის განმტარე-
...ული სისტემა აქვთ. ინფორმა-
...ციების უდიდეს ნაკადს იღებენ
...ყველა ხელმძღვანელი და აღმს-
...რულებელი ორგანოები, პრესის,
...რადიოსა და ტელევიზიის ორგა-
...ნოები. ეს არის მშრომელთა წა-
...ხალები, განცხადებანი, რომლე-
...ბიც სხვადასხვა ორგანოსა და
...ცალკეული თანამდებობის პირთა
...საქმიანობის შესახებ მნიშვნელო-
...ვან წინადადებებსა და კრიტიკულ
...შენიშვნებს შეიცავენ.

ალენუმზე დაასახელეს აფხაზე-
...თის ავტონომიური რესპუბლიკის
...მაგალითი, სადაც ნახევარი მი-
...ლიონი მოსახლეობა ცხოვრობს.
...იქ სსრ კავშირის, საქართველოს
...სსრ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი
...საბჭოებისა და ადგილობრივი
...საბჭოების დეპუტატებად არჩეუ-
...ლია 5.434 კაცი, აქედან მუშები
...და კოლმეურნეები არჩეულთა
...საერთო რიცხვის 65 პროცენტს
...შეადგენენ.

მშრომელები როგორც უშუა-
...ლოდ, ისე თავიანთი წარმომად-
...გენლობითი ორგანოების მეშვეო-
...ბით თათბირებში წარმოების მა-
...თრთველი მშრომელთა ჩაბმის დი-
...დმნიშვნელოვანი, ნაცადი ფორ-
...მებია. ისინი მართვის ერთიანი
...სისტემის უმნიშვნელოვანესი
...ორგოლებია, რომელშიც საუკეთ-
...სოდ არის შეხამებული ერთმ-
...მართველობა და დემოკრატიზმი,
...ცენტრალიზებული ხელმძღვანე-
...ლობა და ადგილობრივი ინიცია-
...ტივა, სახელმწიფო, კოლექტიუ-
...რი და მშრომელთა პირადი ინ-
...ტერესები. ყოველივე ამით
...ბორცს ისხამს დემოკრატიზმი
...ცხოვრებთან, დემოკრატიზმი საქ-
...მეთ, რეალური დემოკრატიზმი.

ამასთან თვალი არ უნდა და-
...ხუჭოთ სახელმწიფო ორგანოების
...მუშაობაში ბიუროკრატიულ და-
...მახინჯებათა შემოხვევებზე. ჩვენი
...ძალა ის არის, რომ გებრძვით
...ჩვენი წყობილების დემოკრატიუ-
...ლი საწყისების ყველა და ყოვე-
...ლგვარ დარღვევებს, ყოველივე
...იმას, რასაც შეუძლია შელახოს
...საბჭოთა ადამიანის უფლებები.

ზრუნვა ადამიანებისათვის,
...მშრომელებისათვის, მათი ინტე-
...რესების დაცვა, მათი მოთხოვ-
...ნებისა და მოთხოვნილებების
...დაკმაყოფილება მუდამ უნდა იყოს
...ჩვენი პროფკავშირების ყურადღე-
...ბის ცენტრში, მათ მნიშვნელო-
...ვანი წვლილი უნდა შეიტანონ სა-
...ბჭოთა ხალხის ცხოვრების მატე-
...რიალური და კულტურული დო-
...ნის ამაღლების პროგრამის პრაქ-
...ტიკულ განხორციელებაში, რო-
...მელიც პარტიამ პირველ პლანზე
...დააყენა.

ეს მუშაობა მრავალმარიგი და
...მრავალფეროვანია: ეს არის ადა-
...მიანის შრომითი საქმიანობის
...პირობების გაუმჯობესება —
...მთელი წარმოებები გადავაქციოთ
...უსაფრთხო, ადამიანისათვის მო-
...ხერხებულ წარმოებად, უსაფრ-
...თხოების ტექნიკა — უსაფრთხო
...ტექნიკად. ეს არის შრომისა და
...საწარმოო სანიტარიის წესების
...დაცვა; შრომის კანონების, მშრო-
...მელთა სამუშაო დროისა და
...დასვენების რეჟიმის ზუსტი და-
...ცვა.

ამას წინათა საქართველოს კო-
...მპარტიის ცენტრალური კომიტე-
...ტის ბიურომ განიხილა საკითხი
...სამუშაოდან მშრომელთა დათ-
...ხოვნისას შრომის კანონმდებლო-
...ბის დაცვის შესახებ და აღნიშნა,
...რომ ამ დარგში საქმე კარგად
...ვერ არის. 1976 წელს დათხოვნი-
...ლთა 68,5 პროცენტი ადადგენეს
...სასამართლო ორგანოებმა, რად-
...გან დათხოვნა კანონის დარღვე-
...ვით მოხდა. ამ საქმეში არც თუ
...ისე ცოტა დანაშაული მიუძღვის
...პროფკავშირულ ორგანიზაციებს,
...რომლებიც ჯერ კიდევ საკმარისად
...ვერ იცავენ მოქალაქეთა შრომის
...უფლებებს, სუსტად უწევენ
...პროპაგანდას სამართლებრივ ცო-
...ნდნას.

დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი
...პროფკავშირები შრომელთა სა-
...ბინაო-საყოფაცხოვრებო პირობე-
...ბის გაუმჯობესებისათვის, ყოფის,
...საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო
...მომსახურების უკეთ მოწყობისა-
...თვის. მაგრამ ამ დარგშიც ჯერ
...კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთ-
...ებელი, მტები უნდა ვიზრუნოთ
...მუშათა სასადილოებისათვის, და-
...მზმარე მეურნეობათა შექმნისა-
...თვის.

პროფკავშირულმა კომიტეტებმა
...უფრო მკაცრად უნდა გაუწიონ
...კონტროლი ყველა არსებული სახ-
...სრების გამოყენებას, რომლებიც
...გათვალისწინებულია შრომელთა
...კეთილდღეობის გაუმჯობესებისა-
...თვის, კერძოდ, იმ სახსრების გა-
...მოყენებას, რომლებიც სოციალუ-
...რი დაზღვევისთვისაა გამოყოფილი.
...შრომელთა პროფსაბჭოებმა
...ბევრი საჩივარი და განცხადება სოციალური დაზ-
...ღვევის საკითხებზე მოწმობს,
...რომ დარღვევები, ადამიანებისა-
...დმი უყურადღებობა საპენსიო
...დოკუმენტების დანიშნისა და გაცე-
...მის, სანატორიუმებისა და დასა-
...სვენებელი სახლების საგზურების
...განაწილების დროს, ჯერ კიდევ
...საკმაოდ ხშირად გვხვდება. გადა-
...ჭრით უნდა დავძლიოთ როგორც
...სამუშაო ადგილს, ისე ტერიტო-
...რიულ პოლიკლინიკებში შრომელ-
...თა სამედიცინო მომსახურებაში
...არსებული სერიოზული ნაკლო-
...ვანებანი.

რესპუბლიკის პროფკავშირებს
...აქვთ ცალკეული დარგების მიხედ-
...ვით შემუშავებული წარმოებაში
...შრომის პირობების გაუმჯობე-
...სების, მუშათა სასადილოებისა
...და საყოფაცხოვრებო მომსახურე-
...ბის ობიექტების ქსელის, ჯანმრ-
...თელობის დაცვის დაწესებულე-
...ბების, საერთო საცხოვრებლების,
...საბინაო მშენებლობის, კულტუ-
...რულ-საგანმანათლებლო დაწესე-
...ბულებების განვითარების ხუთ-
...წლიანი გეგმები, ახლა საქმე ის
...არის, რომ საგნობრივი კონტრო-
...ლი დაწესდეს ყველა დასახული
...ღონისძიების შესრულებისადმი.

ალენუმზე დიდი ყურადღება
...დაეთმო შრომის ტექნიკური
...პროგრესის საკითხებს. აღინიშნა,
...რომ თუ სხვა მაჩვენებლების მი-
...ხედვით უკანასკნელ წლებში გა-
...რკვეული წარმატებანრია მიღწეუ-
...ლი, საწარმოო პროცესების ავტო-
...მატიზაციისა და მექანიზაციის,
...მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე-
...სიის მიღწევათა დანერგვის გეგ-
...მები სისტემატურად არ სრულ-
...დება, ხოლო გამოგონებებისა და
...რაციონალიზატორულ წინადად-
...ებათა დანერგვისაგან მიღებული
...ეკონომიკური ეფექტი კვლავინ-
...დებურად ორჯერ ნაკლებია, ვი-
...დრე საშუალოდ ქვეყანაში. არა-
...დამაკმაყოფილებლადაა საქმე
...შრომის პირობებთან დაკავშირე-
...ბით. მრეწველობის ბევრ დარგში
...მანქანების დაახლოებით ნახევარი
...მორალურად და ფიზიკურად მო-
...ძველდა, მნიშვნელოვანია მძიმე
...ხელის შრომის ხვედრითი წონა,
...დაბალია ფონდაღჭურვილობა და
...ენერგოაღჭურვილობა, განსაკუთ-
...რებით სოფლად. როგორც წარ-
...მოების სანიტარიულ-ტექნიკური
...მდგომარეობის პასპორტიზაციამ
...გვიჩვენა, საამქროების 61 პროცენ-
...ტი არ შეესაბამება შრომისა და
...საწარმოო სანიტარიის დაცვის
...ნორმებისა და წესების მოთხოვ-
...ნებს.

ალენუმის მონაწილეებმა მკაც-
...რად და პრინციპულად გააკრი-
...ტიკეს ზოგიერთი სამინისტრო,
...უწყება, საოლქო-ქალაქთა ცენტრა-
...ლური კომიტეტები, რომლებიც
...ჯეროვნად არ ზრუნავენ მათდამი
...დაქვემდებარებულ რესპუბლიკის
...საწარმოებში ტექნიკური განაკ-
...ლებისათვის, შრომისა და ყოფა-
...ცხოვრების ჯანსაღი პირობების
...შექმნისათვის.

პროფკავშირთა XVI ყრილობა-
...ზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხა-
...ნაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ
...ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ
...გვაქვს გასაკეთებელი ქალთა
...შრომის შესამსუბუქებლად. ალეუ-
...ნუმის მთელმა რიგმა მონაწილე-
...ებმა ამასთან დაკავშირებით წა-
...მოაყენეს საკითხები, და ეკრძოდ,
...საკითხი მეჩაიებაში შრომის
...მექანიზაციის შესახებ, სადაც
...უპირატესად ქალები მუშაობენ.
...აღინიშნა, რომ საჭიროა ყველა
...მუშა, და განსაკუთრებით ქალები,
...უზრუნველყონ თანამედროვე მო-
...თხოვნების შესაბამისი სპეციტან-
...საცმლით .

ახალი მაღალი მიჯნები, რომლე-
...ბიც მეათე ხუთწლეულში უნდა
...დავიპაროთ, თქვეს ორატორებმა,
...პროფკავშირებისაგან მოითხოვს
...კიდევ უფრო მიზანმიმართულ
...მუშაობას მუშათა, გლეხთა და
...ინტელიგენციის კანონიერი ინ-
...ტერესებისა და უფლებების და-
...საცავად.

თვითთეულ მშრომელს — აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია

სსრ კავშირის პროფკავშირთა
...XVI ყრილობამ შეაჯამა პროფკავ-
...შირული ორგანიზაციების დიდი
...და მრავალმხრივი აღმზრდელობი-
...თი მუშაობის შედეგები და სკკპ
...XXV ყრილობის გადაწყვეტილებ-
...ების შესაბამისად წამოაყენა
...ამოცანა კომპლექსურად მიუდგ-
...ნენ აღმზრდელობითი მუშაობის
...ორგანიზაციას, უზრუნველყონ
...მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური,
...შრომითი და ზნეობრივი აღზ-
...რდის მჭიდრო ერთიანობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნი-
...შვნელოვანი როლი ეკუთვნით
...კულტურულ-საგანმანათლებლო
...დაწესებულებებს, რომლებიც
...უნდა გახდნენ მთელი იდეურ-
...აღმზრდელობითი და კულტუ-
...რულ-მასობრივი მუშაობის, შრო-
...მის მიღწევების პროპაგანდის,
...ადამიანთა დასვენების ორგანი-
...ზაციის ნამდვილი ცენტრები.
...დღეს ხომ ჩვენს მშრომელ ადა-
...მიანს წელიწადში ასზე მეტი თა-
...ვისუფალი დღე აქვს, შვებულე-
...ბის გარდა. ეს დრო ნამდვილი
...სიმდიდრეა თვითეულისათვის,
...მთლიანად საზოგადოებისათვის.

მშრომელთა დასვენების ორ-
...განიზაციისათვის ჩვენ ფართო
...შესაძლებლობები გვაქვს. რესპუ-
...ბლიკის პროფკავშირთა განკარ-
...გულებაშია 220 კულტურის სა-
...სახლე და სახლი, 270 ბიბლიო-
...თეკა, რომელთა წიგნის ფონდი
...2,5 მილიონ ტომს შეადგენს. 106
...ათასზე მეტი კაცი პროფკავშირ-
...თა კულტურულ-საგანმანათლებ-
...ლო დაწესებულებების ქსელში
...მეცადინეობს ტექნიკური და მხა-
...ტვრული შემოქმედების ხუთი
...ათას სხვადასხვა წრეში.

მუშაობს ოთხი ათასზე მეტი
...კომუნისტური შრომის სკოლა,
...ასამდე კულტურის პროფკავშირ-
...ული უნივერსიტეტი. სწავლე-
...ბას ამ ფორმებში ჩაბმულია 110
...ათასზე მეტი კაცი. ყოველწლი-
...ურად შრომითს კოლექტივებში,
...კლუბებში, საერთო საცხოვრებ-
...ლებში ეწყობა ასი ათასზე მეტი
...ლექცია.

ასეთი ჭეშმარიტად უზარმაზარი
...ლიტერატურა დიდ პასუხისმგებლო-
...ბას აკისრებს პროფკავშირებს
...ყველა ფორმის პოლიტიკური და
...კულტურულ-მასობრივი მუშაობის
...მენაარსისათვის, ორგანიზაციისა
...და მაღალი ქმედითობისათვის. ამ
...მუშაობის ძირითადი სიმძიმე აწ-
...ევს პროფკავშირთა კულტურულ-
...საგანმანათლებლო დაწესებულე-
...ებს — პარტიის იდეოლოგიური
...არსენალის მნიშვნელოვან შემ-
...ადგენელ ნაწილს.

პიროვნებას სულიერი სამყა-
...როს, მისი ზნეობრივი განწყობის
...აღზრდა, ახალი, ყოველმხრივ
...განვითარებული ადამიანის ჩამო-
...ყალიბება — აი კომუნისტური
...პარტიის მიერ დასახული ამოცა-
...ნა.

ტექნიკური შემოქმედება, ფი-
...ზიკულტურა და სპორტი, მხატვ-
...რული თვითმოქმედება — ყოველ-
...ივე ამ მიმართულებით მოთხოვნი-
...ლებად იქცა. ეს ტრადიციული
...ფორმები ფართოდ დაინერგა
...ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებ-
...ლო დაწესებულებების მუშაობ-
...ის პრაქტიკაში. ეს მუშაობა
...უნდა წარმართოს უფრო მიზან-
...მიმართულად, შემოქმედებითად,
...ყოველნაირად აღმოიფხვრას მას-
...ში ფორმალიზმისა და კაზიონ-
...რობის ელემენტები.

კულტურულ - საგანმანათლებ-
...ო მუშაობის საშუალებათა
...მთელი არსენალის მეშვეობით
...საჭიროა ყოველმხრივ გაეუწიოთ
...პროპაგანდდა ხუთწლიდის გმი-
...რებს, მოწინავეთა შრომის ნო-
...ვატორულ მეთოდებს, მკაფიოდ
...ვიჩვენოთ სამოცდაათიანი წლე-
...ბის მუშის შესანიშნავი თვისე-
...ბები, მისი შეგნებული დამოკი-
...დებულება საზოგადოებრივი მო-
...ვალეობისადმი, სახელმწიფოებ-
...რივი მიდგომა დიდი და პატარა
...ამოცანების გადაწყვეტისადმი,
...პასუხისმგებლობა არა მარტო სა-
...კუთარი თავისათვის, არამედ ამ-
...ხანაგების მუშაობისთვისაც.

დღეს ჩვენი მუშაობა უნდა
...ავაგოთ შრომის გმირების ზნეო-
...ბრივი სახის პროპაგანდის მიხედ-
...ვით, რომ თვითეული ქალაშვი-
...ლი, თვითეული ჭაბუკი, რომლე-
...ბიც ცხოვრებას იწყებენ, შეეცა-
...დონ გახდნენ ისეთი ადამიანების
...შრომითი გმირობის ღირსეული
...გემგრძელებლები, როგორიც არი-
...ან თამარ ყუფუნია, ბორის ვაშა-
...კიძე, მიხაკო ორაგველიძე, დი-
...მიტრი მოსესოვი, ვლადიმერ ასა-
...თიანი, ლეონტი ტყებეჩავა, თვე-
...დორი თედეევი, ვასილ ბოლდა-
...

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲨᲘᲜᲯᲣᲑᲐᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ



აფხაზური პოეზიის დიდოსტატი

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲘᲡ მწერლობის ფუძემდებლის — დიმიტრი გულიას შემდეგ აფხაზურ მწერლობას არა ჰყოლია ისეთი მრავალმხრივი შემოქმედი და მოღვაწე, როგორიც არის ბაგრატ შინკუბა. პოეტი, ბელეტრისტი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი... რომელი ეროვნული ჩამოვთვალო, აფხაზური კულტურის მრავალ დარგში აქვს შეტანილი დიდი წვლილი ჩვენს იუბილარს, რომელსაც დღეს დაბადების მესამოცე წლისთავი შეუსრულდა.

აფხაზეთის სახალხო პოეტმა, ბაგრატ შინკუბამ ფრიად საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო როგორც მწერალმა და დღეს იგი ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა მხატვრული სიტყვის შესანიშნავ მხატვრად არის აღიარებული. მის შემოქმედებას კარგად იცნობს არა მარტო აფხაზი და ქართველი მკითხველი, არამედ მის წიგნებს მრავალ ენაზე კითხულობენ.

ბაგრატ შინკუბამ, როცა მწერლობაში გადადგა პირველი ნაბიჯები, როცა პირველი ნედლი სტრიქონები გამოაქვეყნა, მაშინ დიდი ოქტომბრის პირველ — აფხაზური მწერლობა ოციოდე წლის თუ იქნებოდა. აფხაზური დამწერლობის დამფუძნებელს დიმიტრი გულიას შემოკრებილი ჰყავდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მცირე ჯგუფი, რომელიც დაუღალავად, თავდადებითა და შეუპოვრად იღვწოდა, იბრძოდა აფხაზური მწერლობის მყარი საძირკვლის ჩაყრისათვის. დიდი ოქტომბრის მიერ ახალშექმნილი და აღმოცენებული მწერლობა რომ დიდ გზაზე გასულიყო, ყოველდღიური ენერგიული, დაძაბული შრომა იყო საჭირო. მკირენიცხოვანი, მაგრამ ნიჭიერი აფხაზი ხალხის განმანათლებელებს უნდა ეძებნათ, აღმოეჩინათ ხალხის სულიერ ნიადაგში ახალი ტალანტები, შთთა საქმის ღირსეული და ხიბიერი განმგრძობნი, რომლებიც მომავალში წინ წასწევდნენ ახალშექმნილ მწერლობას, ძვლებს გაუმაგრებდნენ მას და ახალ სიმაღლეზე აიყვანდნენ აფხაზურ სიტყვას.

ამ მომავლის იმედით წერდნენ ალბათ პირველ წიგნებს აფხაზურ ენაზე დიმიტრი გულია და სანსონ ჭაობა, ნაადრევად წასული ჭაბუკი იუა კოლობაი, — ქემბრიტი და ღონიერი ფუძემდებლები აფხაზური კულტურისა.

როცა დიდსა და კეთილ საქმეს ნიადაგი ხოყიერი აქვს, მზრუნველი ხელი და თვალი თავს დასტრიალებს, შეუძლებელია არ აღმოცენდეს, ჯეკლად არ ამბიანდეს და მცხუნვარე მზის წყალობით არ დაპურდეს, ყანად არ იქცეს ის, რასაც შეჭარი და რაც გასულდგმულებს. ასეც მოხდა.

ასეთ ვითარებაში აღმოცენდა აფხაზურ მწერლობაში ბაგრატ შინკუბის თვითმყობადი, მეტად თავისებური პოეზია, რომელიც თანდათანობით იზრდებოდა, ფაფფდებოდა და პურდებოდა. პირველი საზრდო, ნიადაგი ამ პოეზიისა ფოლკლორი იყო, აფხაზი ხალხის თითქმის ხელუხლებელი, ძვირფასი საგანძური. აფხაზური მწერლობის ფუძემდებელთა და გახმასალებელთა მზრუნველმა ხელმა სწორ გზაზე დააყენა ჭაბუკი პოეტი. ქართული, რუსული, უცხოური და მოძმე ხალხთა ლიტერატურების ღრმად და გონივრულად შესწავლამ კიდევ უფრო გზაზედა, გაადიდა ბაგრატ შინკუბას შემოქმედებითი თვალსაწიერი და სულ მოკლე ხანში აფხაზურ მწერლობას პოეზიის უკვე დიდ გზაზე დამდგარი შემოქმედი მოეკვლინა, რომელიც შემდეგ მშობელმა ხალხმა აფხაზეთის სახალხო პოეტად აღიარა.

ბაგრატ შინკუბას პოეტური სიტყვა ღონიერი და მრავალფეროვნად უღერესად ემოციური და მომხიბლავია. მისი პოეზია ეროვნულია, უღერესად კოლორიტული, ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალული, ამიტომ გაიკაფა გზა ხალხის გულში. შემოქმედებითი მოღვაწეობის ოთხი ათეული წლის განმილზე ბაგრატ შინკუბამ გამდიდრა აფხაზური მწერლობა შესანიშნავი ქმნილებებით, ახალ სიმაღლეზე აიყვანა აფხაზური ლექსი. მგრძნობიარე ლირიკულ ქმნილებებთან ერთად მან შექმნა საინტერესო პოემური ეპოსი. ამ მხრივ შემოქმედია დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს პოემა „ჩემი თანამემამულეთა“ და რომაი ლექსად „კლდია სიმღერა“.

უკანასკნელ წლებში ბაგრატ შინკუბამ რამდენიმე საინტერესო მოთხრობა დაწერა, მაგრამ, როგორც ბელეტრისტს, ისტორიულმა რომანმა — „უკანასკნელი ეპიხი“ საქეიყნოდ გაუთქვა სახელი. ამ რომანს, რომელიც ახლა ქართულად იბეჭდება, დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი.

ბაგრატ ᲘᲘᲙᲣᲑᲐᲓ მსოფლიოს ბევრი პოეტი აამტკბეველა აფხაზურ ენაზე. მან თარგმნა რუსთაველის პოემის რამდენიმე თავი, ხიკოლოს ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსი და „ბედი ქართლისა“, ლერის, ალაკის, და სხვა ქართველ პოეტთა ლექსები, აგრეთვე რუსი და უცხოელი კლასიკოსების მრავალი ნაწარმოება. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მას ქართული საბჭოთა პოეზიის თარგმნის საქმეში. მის მიერ თარგმნილი თანამედროვე ქართველი პოეტების ქმნილებები შეაყვარა და მეისისსლხორცა აფხაზმა მკითხველმა.

თბილისში, ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ბაგრატ შინკუბამ ახლოს გაიცნო და ღრმად შეისწავლა ქართული კულტურა, კერძოდ მწერლობა და ბევრი მოკეთე და მეგობარი შეიძინა, რომლებთანაც დღესაც განუყრელი მეგობრობა აკავშირებს.

ბაგრატ შინკუბა გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეა, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მოძმე მწერლობათა დაახლოებასა და მეგობრობის განმტკიცებაში. ჩვენ, ქართველ მწერლებს, გვიყვარს ჩვენი აფხაზი მეგობარი, რომელიც ჭირსა და ლხინში მუდამ ჩვენთან არის, ჩვენთან ეთად იღვწის საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის.

ამრომ ალვნიშნავთ სიყვარულით მოძმე აფხაზი ხალხის ღირსეული შვილის დაბადების მესამეცე წლისთავს. ორმოცი წელიწადია სიკეთეს თესავს ბაგრატ შინკუბა მშობელ ხალხში, თავისი ხიბიერი ქმნილებებით ამდიდრებს არა მარტო აფხაზურ მწერლობას, არამედ მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურას.

იგი ახლა შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე დგას და ჩვენს ძვირფას მეგობარს მრავალ გამარჯვებასა და დღეგრძელობას ვუსურვებთ ამ გზაზე.

რევაზ მარგიანი,
9 მაისი 1977 წ.
თბილისი

სიტყვა უფროს მეგობარს

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ შინკუბამ თავისი ხალხის საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოიპოვა როგორც პიროვნებამ, როგორც საზოგადო მოღვაწემ და, რაც მთავარია, როგორც აფხაზეთის დიდმა ეროვნულმა პოეტმა. ბაგრატ შინკუბა დიდ პოეტად ცნო აფხაზური ლიტერატურის ყველა თაობამ. ეს ფაქტი მწერლისთვის მართლაც დიდი ბედნიერებაა, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ პოეტებს საერთოდ უჭირთ სხვათა პოეტური უპირატესობის აღიარება.

ბაგრატ შინკუბას პიროვნებასა და შემოქმედებაში შესისხლხორცებულია აფხაზი ხალხის ყველა კარგი თვისება. მის სტრიქონებში მთელი აფხაზეთია გაცოცხლებული თავისი ზღაპრული ბუნებით, ისტორიული ტკივილებით, ზნეჩვეულებით, თანამედროვეობის მჩქეფარე რიტმებით, დღევანდელობის სულიერი მოთხოვნილებებით. პოეტი ღრმად ჩასწვდა აფხაზი კაცის ხასიათს სტუმარმასპინძლობის ღვთაებრივი კულტურითა და რაინდული კეთილშობილებით. ბაგრატ შინკუბას პოეზია ერთნაირად გასაგები და ახლობელია როგორც სწავლულისათვის, ისე უბრალო გლეხკაცისათვის. ეს თვისება ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

უკანასკნელ წლებში ბ. შინკუბამ შექმნა დიდი ისტორიული ტკივილებით ალბეჭდილი რომანი „უკანასკნელი ეპიხი“. რომანს ლაიტმოტივად გაადევს იდეა „ვინც ენასა და სამშობლოს კარგავს — იგი ყველაფერს კარგავს ამქვეყნად“. წიგნში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ჭეშმარიტი მწერლის პოზიცია: დიე, ასეთი ბედი აღარავის ეწიოს მომავალში.

ბაგრატ შინკუბა ქართულ კულტურას ნაზიარები კაცია. იგი ჩვენი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების უბადლო მთარგმნელიც გახლავთ. მას, როგორც მამულიშვილსა და ბრძენკაცს, ძალიან კარგად ესმის, რომ ხალხებისათვის სიკეთე მხოლოდ ურთიერთგაგებაა, ერთიერთპატივისცემასა და აღიარების მოაქვს. პატრიოტი პოეტიც ამ კეთილშობილური მისიის ტრიბუნი და გულმხურვალე მესაყვირეა. მე მისი პოეზიის რამდენიმე ათასი სტრიქონი ვთარგმნე. ყოველთვის მიხარია მათთან შეხვედრა, პირადად შევხვდები თუ წიგნისა და ბეჭედის საშუალებით. მასთან შეხვედრა უზადო კაცობისა და უზადო პოეზიის გაკვეთილებია.

აფხაზები საერთოდ ფეზზე მდგარი უსმენენ ან ელაპარაკებიან ასაკით ეფროსებს და ამით გამოხატავენ მათდამი პატივისცემას.

მეც აფხაზური წესის თანახმად ფეზზე ადგომით მივესალმები აფხაზეთის დიდ პოეტს, დ. გულიას პრემიის ლაურეატს, ეროსკაცს ბაგრატ შინკუბას, მივულოცავ დაბადების მე-60 წლისთავს და ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ,
შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲨᲘᲜᲯᲣᲑᲐ

ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲧᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ

ჩემი სოფელი ჭლოუ

შენი ცის ნამი თუ დამეპკურა,
ამ ერთ წვეთს თავზე შემოვეკლები.
ვშიშობ, ნიავმა შენს უნებურად,
რომ არ მომწყვეტოს იგი ცრემლებიდ!

შენს ხასთუმალზე, მაღლა ფანაკზე
ავალ ამ ქვეყნის გადასახედად,
ეეამბორები შენს სილამაზეს
და ყრმობის ჩემის გამოცხადებას.

მთვლიდი რჩეულად, მანებივრებდი
და ქვეყნად ბევრის გავხდი მხახელი,
მე შორს ვიარე შენი იმედით,
და სითბოდ მექცა შენი სახელი.

ადრე დამდნარა თოვლი ლტოლვილი
და ფეხს იკიდებს მწვანე ხავერდი,
რომ დავმდნარიყავ სადმე თოვლივით
არ იკითხავდი თუ სად წავედი?

მე ვარ ბალახშიც, მინდვრის ყვავილშიც
შენი გზისპირას ბუჩქის ღიმილში,
შენი ნიადვრის ულვთო ბღავილში,
ხნულში, ბელტებთან მარცვლის ჭიდალშიც.

ბინდიხეკამს შენი თბილი კერიის
მეხვევა კვამლის ლურჯი ფთილები,
ჩემი ხმა ისმის, ხმაყლერილი
ჰანგში ჩვენებურ ქალაშვილების.

კვირტით დახუნძლულ ხის კენწეროებს
ახსოვთ სურნელი ჩემი წარსულის,
ჯერ არ დამდგარა, გწამდეს, გჯეროდეს
ეამი დუმილის და აღსასრულის.

შენი მზის შუქში თუ არ ვიქნები,
მთვარის ნათელით მაინც ამავსე,
რადგან შენთან ვარ ჩემი ფიქრებით,
შენით ვსულდგმულობ ამ ქვეყანაზე.

თარგმნა რევაზ მარგიანმა.

ცად ღრუბლები აილანდა ასგან
და ვეება კოკებივით დასკდა.
ზღვა ბორგავს და ქვის ნაპირებს თელავს,
ღამის ჩოხას აგვირისტებს ელვა.

ფიცხ ბედაურს მიაჭენებს ვიღაც
და მიაპობს დელგმასა და გრიგალს.
ულაყივით აიყალყა ბზიფიც,
ფლოქვით დაფშვნა ქვა-ლოდები სიპი.

და ხეები, მისილულნი ყანად,
შემოგლეჯილ უნაგირებს ავლენ.
თავის ფაცხა ელანდება მხედარს,
ფანჯარასთან გულის ამედს ხედავს.

თვალზე უთრთის, ვით ნიშანი სევდის
ერთადერთი მოციაგე წვეთი.

არ უკრთება ცხენოსანსა ავდარს,
ვერას ავნებს ზღვაც ზვირთების ცემით,
მაგრამ ვაუკაცს წარჯვნასავით შთანთქავს
ის ობოლი, პაწაწინა ცრემლი.

თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ.

11 ᲛᲐᲘᲡᲘ

მსოფლიოს ამბები

Ა. ᲕᲐᲯᲕᲐᲘ:

სსრ კავშირი ჩვენი მეგობარია

ᲓᲔᲚᲘ. (საკადრესი). **ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბ. ვაჯპაიმ განაცხადა, რომ ინდოეთის საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობა და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან მეგობრობა.** ქალაქ გვალიორის მიტინგზე გამოსელისას, მინისტრმა თქვა, რომ ლაპარაკიც ზედმეტია რომელიმე ქვეყანასთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან ინდოეთის ურთიერთობის გაუარესებაზე. საბჭოთა კავშირი ჩვენი მეგობარია, რომელიც გვეხმაროდა გაქერგების დროს. კერძოდ, სსრ კავშირი დაგვეხმარა ინდუსტრიალიზაციაში, ხაზი გაუსვა ა. ბ. ვაჯპაიმ.

ინდოეთი ესწრაფვის იმეგობროს ყველასთან თანასწორუფლებიანობის სფუძველზე, იბრძვის განიარაღებისათვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან უცხოეთა ჯარების გაყვანისათვის და მიიჩნია, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ ისარგებლებს აგრესიის შედეგებით, თქვა შემდეგ მინისტრმა. მმართველი ჯანატა პარტიის მთავრობა იქტიურად განახორციელებს მიემხრობლობის პოლიტიკას, რომელსაც ხალხი იწონებს.

ა. ბ. ვაჯპაიმ განაცხადა, რომ მხარს უჭერს საძხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს.

ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲡᲒᲐᲖᲔ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. (საკადესი). **აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა უენევაში ჩამოსვლისას განაცხადა:**

საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჟენევაში ჩამოვიდა, რათა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან განაგრძოს განხილვა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების ტექსტის შემუშავებასთან. ეს საკითხები უკვე განვიხილეთ და კვლავ განვიხილავთ დელეგაციათა დონეზე, მაგრამ ზოგ მოლაპარაკების დროს შეუთანხმებელი დარჩა. საფუძველი იყო და უნდა დარჩეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლადივოსტოკის მორიგება. სსრ კავშირის დელეგაციის დავალებული აქვს იმუშაოს საქმეთა და კონსტრუქციული სულისკვეთებით თანაზიარობის საფუძველზე. ამასთან თანამემგზავრულად იხელმძღვანელოს მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი უშიშროების შეთანხმებული პრინციპით.

X. ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ჯ. ᲐᲡᲐᲓᲡ

ᲥᲔᲜᲔᲕᲐ. (საკადესი). **აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერისა და სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის შეხვედრა.**

ლონდონში დაბრუნების შემდეგ ჯ. კარტერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჰაფეზ ასადთან მოლაპარაკების დროს არ ყოფილა მიღებული რაიმე კონსტრუქციული გადაწყვეტილება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბეჟნინსკიმ განაცხადა, რომ ამ შეხვედრამ საშუალება მისცა ჯ. კარტერს გაეხიარებინა ახრი სირიის პრეზიდენტისთვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას უთანხმოებანი მხარეებს შორის ძირითად პრობლემებზე. ჯ. კარტერმა და ჰაფეზ ასადმა განიხილეს ელ-ბერაფეთის ტაბაკის ეროვნული ელექტროსადგურის ამოქმედების საკითხი. ეს ელექტროსადგური ეგვიპტემ ააშენა ამერიკელ სპეციალისტთა მონაწილეობით. ეგვიპტეს ელ-ბერაფეთის ტაბაკის ეროვნული ელექტროსადგურიდან ელენერგიის ნაწილი ეგზავნებოდა სირიას. ეგვიპტეს ეშინოდა, ეს ენერგია ალეპოს ეროვნულ ელექტროსადგურზე ალეპოს ეროვნული ელექტროსადგურიდან ელენერგიის ნაკადის